საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

KA030145753878617

საქართველო, თბილისი 0159; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ფაქსი:(+995 32) 251 00 19; ცხელი ხაზი:(+995 32) 251 00 33; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge

144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 251 00 11; Fax:(+995 32) 251 00 19;Hot line:(+995 32) 251 00 33; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/49351 **28 / ივლისი / 2017 წ.**

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
მოადგილეს ბატონ გიორგი კაკაურიძეს

ბატონო გიორგი,

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტო, მასზე დაკისრებული ფუნქცია/ვალდებულებების შესრულებას ახორციელებს ქვეყნის ყველა რეგიონში განთავსებული რაიონული ოფისების მეშვეობით. აქედან, რამდენიმე ოფისი არის სავალალო მდგომარეობაში და ამის გამო ვერ ხერხდება სააგენტოს მიერ მისაწოდებელი სერვისებით მოსარგებლე ბენეფიციარების, მათ შორის შშმ პირებისა და პენსიონერების შესაფერის პირობებში მიღება და მათთვის მომსახურების მიწოდება.

აღნიშნული მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, „2017 წელს განხორციელებული ტენდერების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიის შემდგომი გამოყენების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 8 ივნისის N1172 განკარგულების მე-2 მუხლის საფუძველზე, სსი-სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის და ასევე, იმ პროგრამებისათვის, რომელთაც ახორციელებს სააგენტო, „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში იანვარ-მარტში გამოცხადებული ტენდერების შედეგად წარმოქმნილი ეკონომია საჭიროა მიმართულ იქნეს გლდანი-ნაძალადევის, ონისა და ამბროლაურის რაიონული ოფისების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების მომსახურების შესყიდვაზე, ასევე, ქ. თბილისში ჯავახიშვილის ქუჩაზე მდებარე ოფისში საარქივე ფართის მოწყობაზე და შემდგომ ეტაპზე, ოფისების აღჭურვის მიზნით, ავეჯისა და კომპიუტერული ტექნიკის შეძენაზე.

გთხოვთ, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 31-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად განახორციელოთ დამტკიცებულ გეგმაში ცვლილება, დანართის შესაბამისად.

პატივისცემით,

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი — ნოე ქინქლაძე